


საბჭოთა სპორტი

ლიტერატურული კონკურსი

„ვერმანდებმა მოსტოვეს ტულონში საფრანგეთის ფლოტს, რათა ყოველ სამხედრო ხომალდს 10 წუთი განმავლობაში სასიგნალო აღმებით ეცნობებია თანხმობა მათთვის, რომ ისინი თავის ნებით ნებდებიან, მაგრამ ათი წუთის შემდეგ ფრანგმა მეზღვაურებმა ამჯობინეს დაეჯერებინათ ნაციონალურ პირსებებს და ფლოტი ზღვაში ჩასძირეს“.

ნახ. გ. ლომიძისა

გაზეთებიდან



ბატონო გენერალო, თანახმად თქვენი ბრძანებისა,
ათი წუთის შემდეგ მივიღებთ...

ათი წუთის შემდეგ მართლა მიიღეს.

უჭირს

ნახ. მ. ვაღბოლსკისა




უჭირს, ცდილობს, ვერა შვედის ბაიკის და მწუხარედ ჯაფიანებს, რომ მალე საკუთარ პერანგს ვეღარ აფეხანებს, აბრუ ეხვევა.

მოსაზრება

კოლმეურნე ამირინდო მიწას თესდა შავ ჯღვის პირას და კაბუკი ამხნევებდა ახლად შერთულ თავის ცირას:
„ხომ უყურებ ამ ვრცელ წალკოტს, რომ ვერ სწვდება კაცის თვალი, ბედზე ბედი მოგვეწვეს, უხვი მოვა მოსავალი“.
შემოდგომა რომ მოვიდა, შეიცვალა თბილი ჰავა, ამირინდომ მართლაც უხვი მოსავალი დაიხვავა.
კვლავ მოვიდა გაზაფხული... და ზაფხული... სეცა ხელად მუხანათურ მტერთან ომის ქარტეხილმა დააბნელა.
ზინდორ-ველი, სადაც ცირა გამღეროდა თავისუფლად, მთელი სოფლის მიწა-წყალი მტერთა ურდომ დაიფელა, პარტიზანთა გმირულ მხედრებს, ჩასაფრებულს ხევის პირას, ნადგლიანი ამოგმინვით შეესიტყვა კოხტა ცირა:
„რით მოვიყვანე წელს მოსავალს? ეს ჭიკრია შემაწუხი... გახსოვთ შარშან... ამ ველზეში მოსავალი გვექონდა უხვი“...
ამირინდო ამ დროს ხეში ავტომატით ჩასაფრული ცირას ეტყვის: —ნუ იხალღებ, დაიმშვიდე ჩემო, გული.
და იმ წუთში ხევის პირად მიმავალი ვრცელი შარა ფრონტისაგან გამგზავრებულ მტრის ჯარებით დაიფარა.
გაუსწორდა რა მტრის რაზმი პარტიზანთა ფარულ საფარს, ამირინდოს ავტომატის ხმა მოედგა მგრგვინავ მთა-ბარს...
თავს უშველა ვინც გადარჩა... გადაავლეს ნადგლს თვალი და სიამით გაიღიმეს... უხვი იყო მოსავალი.

ს. ისარიძე



- კიდევ ჩამოყაჭე, ხაცაა გათავდება ფრონტზე შენი რეზერვები.
- რა ვქნა კოლეგა, ზურგშიც გათავდა ჩემი რეზერვები, ნუ თუ დადგა დრო საბოლოო ანგარიშისა.
- ღიაზ, დადგა.

კივდიარის შარვალი და გეგედის უთო

საბჭოთა ინფორმბიურომ ფაქტებით გააბათილა გერმანელების მიერ გამოქვეყნებული ყალბი ცნობა იმის შესახებ, თითქოს გერმანიის არმიამ ალყა შემოარტყა საბჭოთა ჯარებს და წაიყვანა ტყვეები ქალაქ ტოროპეციდან. ამ უსაფუძვლო კოროიდ გერმანელები ცდილობდნენ იმ მძიმე დამარცხებით გამოწვეულ შთაბეჭდილების შენელებას, რაც მათ იგემეს სტალინგრადთან და დონის შუაწყლის რაიონში.

ზის გებელსი დაღვრემილი და ისრესაგს საფეთქლებს,
შუბლზე ბიის ფერი აძევს, სევდა მის გულს აფეთქებს:

ზუმრობა? „ფიურერმა“ შეაზურა ამ დილით,
უთხრა: — „მინისტრი კი არა, ვირი ხარო ნამდვილი!“

მან მიუგო: — რაკი ბრძანებთ, ცხადია, რომ ასეა,
მაგრამ გთხოვთ, სთქვათ — ფიურერი გულმოსული რაზეა?

რა ვქნა, რაც კი გამეწყობა, ცდას არ ვაკლებ თქვენც იცით,
„ჩვენ ვიმარჯვებთ!“ — გავიძახი თავის ქებით და ფიცით,

სტალინგრადზე ხომ ვყვიროდი — როგორც თქვენ მავალბდით:
„ჩვენი არის, დღეს ვუთვით და მთლად დავიპყრობთ სვალემდის!“

მაგრამ მოგვცხეს და კოზირი წაგვიშალეს სიაში,
მოგვცხეს დონთან, მოგვცხეს რუგეთან, მოგვცხეს კავკასიაში,

მგვიბმეც რომ დავივიწყოთ, თუნდ ტულონის ამბავი,
მაინც ბრძანეთ: რალა გვჩრება სათქმელ — დასახტამბავი?“

„ფიურერმა“ მაგიდაზე მუშტი დაშკრა ბეჯითად
და აპოლონს ჩააგონა დიდაქტიკურ ღრეჯითა:

— „კარგი თერძი თუ ძველ შარვალს კარგად გადაბრუნებს,
ის მუხლების დასაფარად გამოდგება, გარწმუნებ!“

დასკვნა თვითონ გააკეთე შენ ამ დაკვირვებაში
და ქვეყანა დაარწმუნე ხვალ ჩვენს გამარჯვებაში!“

* * *

მოდო აი, ზის გებელსი, ეწვის თვალთა ნარვალი,
და სულ ტვინში უღიტინებს „ფიურერის“ შარვალი,

ცდილობს ისე დაუკეროს, უთო გაშკრას ქიმითა,
რომ ნაცემი მუხლის თავი დაუფაროს იმითა...

ბოლოს ქალაქს და კალმისტარს ის უფერიდან ალაგებს,
სწერს და „ამსხვრევს“ ჩვენს არმიას, სწერს და „იღებს“ ქალაქებს,

და „იმარჯვებს“ ბრტყელ ბლოკნოტზე კალმის წვერის გადავლით...
აი, „მიაქვს“ ტოროპეცი. მასთან „დიდი ნადავლიც“ —

მეორე დღეს, როს მიათვა მან აღთქმული „შარვალი“,
დარწმუნდა, რომ არა სწყალობს გებელსს ბედი მტარვალი,

თუმც შარვალი მან ჩააცვა კოხტა და ხელუხლები —
მაინც უჩანს „ფიურერის“ ჭუჭყიანი მუხლები.

შარსადან